საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №48

ქ. თბილისი 3.11.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; პროფესორი, (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ოლია ვოტ - შპს პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფ "PMCG" - ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:
დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
ელენე მამუკელაშვილი - კანცლერი;
ხათუნა საგანელიძე - მედიცინის სკოლის დეკანი;
მარიამ შოშიაშვილი - სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი;
ლანა ბოკუჩავა - მედიცინის სკოლის სასწავლო პროცესის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ივანე აბიათარი
სალომე ხუბულავა
ვახტანგ ჟვანია
თათია უბერი
ნინო ბოგვერაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 საათზე.
სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.
სხდომის მდივნის ფუნქცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი.

წრმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის დოქტორი - 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ საერთაშორისო ექსპერტი რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხებდა საბჭოს სხდომაზე სკაიპის მეშვეობით ჩართვის განხორციელებას. შესაბამისად დასკვნასთან დაკავშირებით ისაუბრებდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ადგილობრივი წევრები. მან მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტმა, ვახტანგ ჟვანიამ აღნიშნა, რომ განსახილველი სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა გახლდათ ერთერთი გამორჩეული პროგრამა საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იყო სტუდენტზე. დასკვნაში ასახული იყო მხოლოდ რჩევები და ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სილაბუსებს და მათში მოცემულ შეფასების კრიტერიუმებს. რეკომენდაციის შინაარსთან დაკავშირებით ვიზიტის დროს საუბარი შედგა დაწესებულების წარმომადგენლებთან და მისასალმებელი იყო მათი მზაობა მაქსიმალურად მიეღოთ მხედველობაში მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები. პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს აძლევდა საშუალებას მაქსიმალურად ყოფილიყო ჩართული კვლევაში, აქტიური ყოფილიყო ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით და შესაძლებლობა ჰქონოდა სხვადასხვა მიმართულებით განევითარებინა კვლევა, აღსანიშნავი იყო დაწესებულებაში არსებული ელექტრონული ბაზები. ვიზიტის მიმდინარეობისას ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა თუ კი უნივერსიტეტი გამოყოფდა გარკვეულ თანხას სტუდენტების დაინტერესების შემთხვევაში მათი საზღვარგარეთ კვლევის განხორციელებისათვის, თუმცა სტუდენტებთან

გასაუბრების დროს გამოჩნდა რომ მათი უმეტესობა დასაქმებული იყო და მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა გარკვეული დროით გამგზავრებულიყვნენ საქართველოდან კვლევის განხორციელების მიზნით. თავად უნივერსიტეტში არსებობდა სრული შესაძლებლობა იმისა რომ სტუდენტს მოეპოვებინა ნებისმიერი ინფორმაცია რაც მას დასჭირდებოდა კვლევასთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალი რომელიც ხელმძღვანელობას უწევდნენ სტუდენტებს თემის წერის პროცესში იყვნენ მაქსიმალურად ღია და მათთან კომუნიკაცია ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერ დროს. პროფესორს ჰქონდა შესაძლებლობა თანაბრად დაეთმო დრო თითოეული სტუდენტისათვის. რაც შეეხებოდა უშუალოდ დაცვებს, რამოდენიმე თემა უკვე მზად იყო სადისერტაციო საბჭოზე წარსადგენად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე პროგრამას ჰქონდა განვითარების დიდი პერსპექტივა და თავად ადმინისტრაციის დამოკიდებულება პროგრამის მიმართ იძლეოდა იმის თქმის საშუალებას რომ პროგრამა რამდენიმე წლის შემდეგ უფრო მეტად დახვეწილი წარსდგებოდა დაინტერესებული პირების წინაშე. რაც შეეხებოდა მიღების პროცედურას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოტენციური ხელმძღვანელის დასკვნას და საკვლევი თემის სათაურის ჩამოყალიბებას. გადამოწმებული იქნა სადისერტაციო ნაშრომები და მათი საკვლევი საკითხი და თემის სათაური ნამდვილად გახლდათ გამორჩეული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ბოგვერაძემ განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა და სადისერტაციო ნაშრომები პასუხობდა ბაზრის გამოწვევებს. თემების შერჩევა ხდებოდა იმ ნიშნით თუ რა სამართლებრივი პრობლემები იყო მოცემულ მომენტში ქვეყანაში და რა კვლევების საჭიროება იყო გამოკვეთილი. აღსანიშნავი იყო ასევე აკადემიური და მოწვეული ლექტორების განათლება და პროფესიონალიზმი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია უბერმა განაცხადა, რომ პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი მაქსიმალურად მორგებული იყო დოქტორანტებზეც და არა მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებზე. იგულისხმებოდა დოქტორანტების აქტიური ჩართულობა იურიდიული კლინიკის საქმიანობაში. დოქტორანტები ასევე მუშაობდნენ ასისტენტებად რაც მათ ეხმარებოდა არა მხოლოდ თემის დამუშავების მიმართულებით უნარების განვითარებაში არამედ პროფესიონალური და აკადემიური უნარების განვითარებაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასკვნაში ასახული რეკომენდაციის თანახმად, შეფასების კრიტერიუმები უმეტეს სასწავლო კურსებში გახლდათ ერთი და იგივე, ერთადერთი განსხვავება მდგომარეობდა ქულების გაყოფაში. ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას სთავაზობდა თითოეული სილაბუსის პირადი ინტერესების და თვალსაზრისების მიხედვით ორგანიზებას, რაც ხაზს გაუსვავდა პროფესორთა აკადემიურ თავისუფლებას. მისი განცხადებით მას არ ესმოდა სადოქტორო საფეხურზე აღნიშნული რეკომენდაციის მნიშვნელობა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ სილაბუსების შეფასების ნაწილში ზოგადად არსებობდა სხვადასხვა მიდგომები, კონკრეტული სილაბუსის კონკრეტულ ავტორს გააჩნდა შეფასების თავისი კრიტერიუმები. მოცემულ სილაბუსებში აღნიშნული კრიტერიუმები მოცემული იყო ერთნაირი ფორმით, შესაბამისად გაჩნდა შთაბეჭდილება რომ არ ჩანდა პროფესორთა ინდივიდუალიზმი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა არ იყო კლასიკური საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა. ზოგადად იურისპრუდენციაში მისი მოსაზრებით სადოქტორო პროგრამას ესაჭიროებოდა სამი რამ სივრცე, კარგი ბიბლიოთეკა და კარგი ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებაში რეკომენდაციის გაზიარება გართულდებოდა ვინაიდან კოლოქვიუმი, სემინარი და კვლევითი ნაშრომის შეფასება მკაცრად იყო გაწერილი და ფასდებოდა იმ კრიტერიუმებით რაც უნდა ჰქონოდა წერით ნაშრომს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაში ჩართული აკადემიური და ასოხირებული პროფესორების რაოდენობით და ზოგადად მათი თანაფარდობით სტუდენტებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული იყო ცხრამეტი პროფესორი, ცხრამეტივე პროფესორს ჰქონდა დოქტორის ხარისხი, თექვსმეტი პროფესორი გახლდათ აფილირებული, ხოლო თხუთმეტი ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციით და იმ გარემოებით როდესაც შეიქმენბოდა სადისერტაციო საბჭო საკმარისი იქნებოდა თუ არა პროფესორების რაოდენობა დარგების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის კავლიფიკაცია აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს, რაც შეეხებოდა აკადემიური პერსონალის გადანაწილებას და მათ რაოდენობას სტუდენტებთან მიმართებაში, აღნიშნული შეკითხვა დასმული იქნა ვიზიტის მიმდინარეობისას, გადამოქმებული იქნა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა და დადგინდა რომ არსებული მომენტისათვის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში აკადემიური პერსონალის რაოდენობის პრობლემა არ ფიქსირდებოდა. თუმცა დაწესებულების მიერ აღნიშნული იქნა რომ აპირებდნენ აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას, შესაბამისად მათ გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსები. ასევე დაწესებულება მობილიზებული იყო იმ შემთხვევისათვისაც თუ კი შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტები გააგრძელებდნენ სწავლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგადად უნივერსიტეტის უმეტესობის და ქვეყნის პრობლემა გახლდათ შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტები, მათ აკადემიურ პერსონალში დომინირებდა კერძო სამართალი ვინაიდან გახლდათ საერთაშორისო სამართლის მიმართულება, კვლევებიც გამოკვეთილი იყო აღნიშნული მიმართულებით. მხოლოდ ორი დოქტორანტი მუშაობდა სისხლის სამართლის მიმართულებაზე. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ უნივერსიტეტის მიზანს არ წარმოადგენდა დიდი რაოდენობის სტუდენტების მიღება ვინაიდან მათი ორიეტირი ჰქონდათ ხარისხზე და არა რაოდენობაზე. დაწესებულების მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი აკადემიური პერსონალის მიღების მიზნით რომელიც დასრულებული იყო აღნიშნულ ეტაპზე და სამომავლოდ იგეგმებოდა კიდევ ერთი კონკურსის განხორციელება. დაწესებულების აქცენტი კეთდებოდა გლობალიზაციაზე და მათი მიზანი იყო გაკეთებულიყო იმ ტიპის კვლევები რომელის საინტერესო იქნებოდა არა მხოლოდ საქართველოში.

კითხვების ამოწურვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ 16:30 საათზე გამოაცხადა შესვენება.

სხდომა განახლდა 17: 00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,, განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ემუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჯენ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს საკრედიტაცია.

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინის საგანამანათლებლო პროგრამა
კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი - 090101
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამა შედგენილი იყო თუ არა აკრედიტაციის ახალი სტანდარტების და ახალი დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელიც ჯერ არ იყო ამოქმედებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა შედგენილი იყო აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მიხედვით, აგებული იყო მოქმედი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, თუმცა პროგრამაში ინტეგრირებული იყო ახალი დარგობრივი მახასიათებელი და გაკეთებული იყო ახალი მოდელით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამის შეფასება ხორციელდება საერთაშორისო ექსპერტის თავმჯდომარეობით, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო საერთაშორისო ექსპერტი ვერ მიიღებდა განხილვაში მონაწილეობას და საბჭოს წევრებთან ელექტრონული რესურსებით დაკავშირებას. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებს ესაუბრათ დასკვნასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ივანე აბიათარმა განაცხადა, რომ ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნა გახლდათ პოზიტიური, გაცემული იქნა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

- ჯგუფების ზომები წინა-საკლინიკო პრაქტიკუმზე მისაღები იყო, მაგრამ კლინიკის საგნებში სასურველი იყო ინდივიდუალური წვდომა რეალური კლინიკის სიტუაციებზე;

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ლაბორატორიის განვითარებას პრაქტიკული კურსებისათვის;
- ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებდა სტუდენტთა აქტიური ჯგუფის დანერგვაზე (სტუდენტთა სამეცნიერო წრის შექმნა), რასაც შესაძლოა ხელი შეეწყო რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და მკვლევართა ჯგუფთან დაკავშირების, რაც სანაცვლოდ ხელს შეუწყობდა ფაკულტეტის განვითარებას კვლევისა და განათლების კუთხით. პირველ რიგში ინდივიდუალური სტუდენტები, შემდეგ სტუდენტთა არაოფიციალური ჯგუფები და შემდეგ სტუდენტთა ასოციაციები დაჯილდოებული უნდა ყოფილიყვნენ, წახალისებულიყვნენ და მისცემოდათ მეტი მოტივაცია აღნიშნული აქტივობების ფაკულტეტის ბაზაზე განხორციელების მიზნით;
- მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა სტუდენტთა მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო პროექტებში არსებული სქემის ფარგლებში;
- კვლევის მაღალი ხარიხი უმეტესად ეყრდნობოდა ინდივიდუალური მკვლევარის მოტივაციას და აკლდა კვლევის შედეგების სისტემატური და რეგულარული განხილვები. სქემის შემუშავება შესაძლებელი იყო კვლევის მაღალი ხარისხის აღიარებისათვის, მაგალითად ფაკულტეტის ვებ-გვერდის ან სასწავლო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით;
- მოცემული იყო კურსის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, თუმცა კლინიკის კურიკულუმში, სილაბუსებში ასევე მოცემული უნდა ყოფილიყო კონკრეტული მიზნები, კომპეტენციები, განსაზღვრული შეფასება და ჩააბარა-ჩაიჭრას შესაბამისი კრიტერიუმები (დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვებისათვის საჭირო მინიმალური ქულა, გამოცდის გადაბარების წესი და ა.შ.), სტუდენტებს უნდა სცოდნოდათ თუ რა სტანდარტები და ჩაბარება/ჩაჭრის რა კრიტერიუმები გამოიყენებოდა მათი შეფასებისას;
- რეკომენდირებული იყო დამოუკიდებელი სტუდენტური ასოციაციის (სტუდენტთა თვითმმართველობის) აქტიური მხარდაჭერა. მნიშვნელოვანი იყო ხაზი გასმოდა აღნიშნული ორგანიზაციის უსაზღვრო პოტენციალს, რომელიც სცილდებოდა საკურსო დონეს (მისი გაფართოვება შეიძლებოდა კურსდამთავრებულებზეც), შესრულების კონტროლი თავად სტუდენტების მიერ (კერძოდ სტუდენტთა ასოციაციას), იძლევა პროგრამის ეფექტურობის უფრო ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას და კურიკულუმის იმ მხარეთა გამოვლენის საშუალებას რომლებიც საჭიროებდა გაუმჯობესებას. აღსანიშნავი იყო, რომ სტუდენტები მოტივირებულები იყვნენ პასუხი გაეცათ სტუდენტთა გამოკითცბევისათვის და სჯეროდათ, რომ ამით შესაძლებელი იყო პროგრამის გაუმჯობესება.
- ფაკულტეტის შემოსავლები და ხარჯი და კლინიკური ჰოსპიტალის ინტეგრირება ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე;
- სტუდენტების გადანაწილების წესი (ბიუჯეტი) და განყოფილებებს/ერთეულებს შორის შიდა გადანაწილება უნდა დარეგულირებულიყო სპეციალური წესით. კერძოდ, თუ როგორ ხდებოდა იმის უზრუნველყოფა რომ თითოეული ერთეული ყოველწლიურად მიაღწევდა დაბალანსებულ ფინანსურ შედეგს.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა თუ რა იყო პროგრამის მიზანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან უნივერსიტეტი გახლდათ ახალი და თანამედროვე და უნივერსიტეტის სახელიც მეტყველებდა აღნიშნულს, ყველა ის სტანდარტი რაც არსებობდა დასავლური კულტურისთვის დამახასიათებელი ინტეგრირებული იყო პროგრამაში. პროგრამა აგებული იყო სპილარული კურიკულუმის პრინციპით, სპირალს გააჩნდა ოთხი დონე რაც გულისხმობდა რომ სტუდენტი ეტაპობრივად გადიოდა ცოდნის და

უნარების ერთი და იგივე ციკლს ოღონდ განსხვავებული სიღრმით. აღსანიშნავი იყო უმნიშვნელოვანესი ელემენტი რაც გულისხმობდა სტუდენტის კვლევაში ინტეგრაციას ადრეულ ეტაპზე. რაც უფრო ადრე ერთვებოდა სტუდენტი კვლევაში უფრო ადვილად ეუფლებოდა დარგსაც. პროგრამის კურიკულუმში პირველივე სემესტრში ისწავლებოდა შესავალი კვლევით მეთოდოლოგიაში, მეორე სემესტრში გათვალისწინებული იყო გამაძლიერებელი მეორე კომპონენტი და შემდეგ უკვე ხდებოდა კვლევის ინტეგრირება სასწავლო კურსებში.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა კვლევაში, კერძოდ აქცენტი კეთდებოდა სამედიცინო კვლევაზე თუ სამეცნიერო კვლევაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგულისხმებოდა ფუნდამენტური კვლევები სადაც სტუდენტები ჩართულები იყვნენ როგორც საკუთარ ასევე კონტრაქტორ ორგანიზაციებთან ერთად და ასევე ცდილობდნენ გამოეყენებინათ საკუთარი ჰოსპიტალის რესურსიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი გახლდათ საზოგადოებრივი, არაკომერციული არამომგებიანი კერძო ერთეული. მათ ჰქონდათ საკუთარი ჰოსპიტალი რომელიც ასევე გახლდათა არაკომერციული, მათ ასევე ჰქონდათ საკუთარი სისხლის ბანკი. აღსანიშნავი იყო რომ უნივერსიტეტს და ჰოსპიტალს ჰქონდათ გამიჯნული ინდივიდუალური ბიუჯეტი. უნივერსიტეტის ჰქონდა გამოყოფილი კვლევითი ბიუჯეტი და ბოლო სამი წლის მანძლზე კვლევებზე დახარჯული იყო ათი მილიონი ლარი. უნივერსიტეტი ახორციელდება პროფესორების თანადაფინანსებას კვლევების განხორციელების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზარკვეულწილად ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას და იზიარებდნენ სტუდენტების ინდივიდუალური წვდომის აუცილებლობას რეალური კლინიკის სიტუაციებზე. აღსანიშნავი იყო, რომ ჯერ კიდევ მედიცინის პროგრამის განმავითარებელი შეფასების დროს გათვალისწინებული იყო ორი საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციები რომლის საფუძველზე უნივერსიტეტში დაარსებული იქნა სტუდენტთა სამეცნიერო ჯგუფი რომელთაც მიღებული ჰქონდათ მონაწილეობა ორ საერთაშორისო კონფერენციაში და მიღებული ჰქონდათ პრიზები.

საბჭოს წევრი, ირინა გოცირიძე დაინტერესდა მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით თუ რა ტიპის ლაბორატორიის გაუმჯობესება იყო მოაზრებული ექსპერტების მიერ.

ექსპერტმა, ივანე აბიათარმა განაცხადა, რომ პროგრამის განმავითარებელი შეფასების შემდეგ აღინიშნებოდა საკმაოდ დიდი პროგრესი, რაც შეეხებოდა ლაბორატორიას, იგულისხმებოდა სასწავლო ლაბორატორია რომელიც ეხებოდა საბაზისო სამედიცინო დისციპლინებს. ლაბორატორია გახლდათ ახალი და კარგად აღჭურვილი თუმცა საჭიროებდა უფრო მეტად დატვირთვას რაც უნივერსიტეტს მისცემდა საშუალებას არ გაეგზავნა სტუდენტი სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მრავალფეროვნების თვალსაზრისით სტუდენტების გაგზავნა სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დადებით ხასიათს ატარებდა. უნივერსიტეტის პარტნიორი გახლდათ ბერიტაშვილის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტი სადაც ხორციელდებოდა კვლევითი კომპონენტი. მიუხედავად აღნიშნულისა დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციას და შესაძლებელი იყო ლაბორატორიის განვითარება შიდა რესურსის მეტი მობილიზებით და გარკვეული კომპონენტების უნივერსიტეტის ლაბორატორიაში განხორციელებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რეკომენდაციაზე რომელიც ეხებოდა შეფასების კრიტერიუმების დაკონკრეტებას, შეფასების კონკრეტული პროცედურები გაწერილი იყო უნივერსიტეტის დებულებაში, თუმცა შესაძლებელი იყო მათი გადმოტანა და გაშლა სილაბუსებშიც მეტი თვალსაჩინოებისათვის. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას სტუდენტური თვითმართველობის შესახებ, უნივერსიტეტი მოქმედებდა ერთი ფანჯრის პრინციპით,

განვითარებული იყო ეგრეთ წოდებული „front desk“ - ის სისტემა, რომელიც სტუდენტებს უწევდა მაქსიმალურ მხარდაჭერას და უზრუნველყოფდა ყველა საჭირო ინფორმაციით. თუმცა შესაძლებელი იყო აღნიშნული ერთეულის საქმიანობის პროცესში სტუდენტების ჩართვაც.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა უცხოელი სტუდენტების მიღების სტანდარტით, უტარდებოდათ თუ არა მათ გამოცდა ქიმიაში, ბიოლოგიაში და უცხო ენაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ გამოცდა ქიმიასა და ბიოლოგიაში, ასევე ინგლისურ ენაში. ქიმიისა და ბიოლოგიის გამოცდა ტარდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში დადგენილი სტანდარტის მიხედვით. სტუდენტების გამოცდას აბარებდნენ ინტეგრირებული ტესტების მეშვეობით.

კითხვების ამოწურვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ 17:40 საათზე გამოაცხადა შესვენება.

სხდომა განახლდა 17: 50 საათზე.

საბჭოს მოსაზრებით, სდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მეორე და მესამე სტანდარტები, რომლებიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,, განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

17:50 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

მდივანი
ლევან გორდეზიანი